საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 002692

„17" ივნისი 2024 წ.

ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი ვ. ნიკოლაძის I ჩს №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ახავგვე" (ს/კ 215598421)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
იურ. მის: ჭიათურა ნინოშვილის ქუჩა №9; დირექტორი [redacted]
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 12 აპრილის №165/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. (დასკვნა №58; 26.12.2000)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №002692 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ N0026692 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 4 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის [illegible] პირველი ნაწილის შესაბამისად

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის იმერეთის მოადგილე-მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნინო [illegible]

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2024 წლის 17 ივნისის №002692 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 26 ოქტომბრის №DES52300000163 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა ქ. ჭიათურაში, საჩხერის გზატკეცილის №29-ში განთავსებული, შპს „არაგვი"-ს (ს/კ 215599421) კუთვნილი მანგანუმის მადნისა და მისი გამდიდრების ნარჩენების საწარმოს ფუნქციონირებაზე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 12 აპრილის №165/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2000 წლის 26 დეკემბრის №58 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. შპს „არაგვი" არ ახორციელებდა საქმიანობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად. კერძოდ:

1.1. საწარმოს ტერიტორიაზე არ არის განთავსებული მეორადი წყალმომარაგების სისტემისთვის საჭირო ორი ცალი 30 ტონიანი რეზერვუარი, რომელშიც დაგროვდება სალექარში გაწმენდილი წყალი, ტექნოლოგიურ პროცესში დასაბრუნებლად;

1.2. საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული, ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობის - ჰორიზონტალური სალექარის პარამეტრები არ შეესაბამება გზშ ანგარიშით გათვალისწინებული სალექარის პარამეტრებს;

1.3. კომპანია ნედლეულის გამდიდრების პროცესში წარმოქმნილი შლამების განთავსებას არ უზრუნველყოფს კუდსაცავის ტერიტორიაზე გზშ ანგარიშის შესაბამისად. ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები ე.წ „კუდები" და ჰორიზონტალური სალექარიდან ამოღებული შლამები დაყრილია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე;

1.4. კომპანიას არ გააჩნია შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედი „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი" და „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი"

ამასთან, ინსპექტირების პერიოდში გამოვლინდა ნარჩენების მართვის კოდექსით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტი. კერძოდ: საწარმოო ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ, განთავსებული იყო სახიფათო ნარჩენები (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები, პლასტმასის ზეთიანი და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ბიდონები, ჯართი და ლითონის ნარჩენები, გამოყენებული საბურავები და ავტომანქანის სხვა ნაწილები. ასევე, რამოდენიმე ადგილზე დაფიქსირდა ნარჩენების (რეზინისა და ელასტომერული მასალის) ღია წესით დაწვის ფაქტი.

2024 წლის 17 ივნისის №002692 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2023 წლის 5 დეკემბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის პირველი ნაწილის, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შპს „არაგვი"-ს მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 085305 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა საჩხერის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 14 თებერვლის №4/8-2024 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 798 მუხლის პირველი ნაწილით და ნარჩენების მართვის კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში. ამასთან, შეწყვიტა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაწყებულ ფაქტზე, ადმინისტრაციული შემთხვევის არარსებობის გამო. ამასთან, კომპანიას ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა - ჯარიმა 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „არაგვი"-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 17 ივნისის №002692 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2024 წლის 17 ივნისის №002692 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „არაგვი“-ს (ს/კ 215599421) კუთვნილი მანგანუმის მადნისა და მისი გამდიდრების ნარჩენების საწარმოს ფუნქციონირებაზე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 12 აპრილის №165/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2000 წლის 26 დეკემბრის №58 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „არაგვი“ ვალდებულია**:

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან საქმიანობა **მუდმივად** განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად. მათ შორის:

1.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე ორი ერთეული 30 ტონიანი რეზერვუარის მოწყობა, სალექარში დაგროვილი გაწმენდილი წყლის განთავსების მიზნით;

1.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე დაყრილი შლამები და ე.წ „კუდები“ გადაიტანოს საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ მათთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე, ხოლო საქმიანობის განხორციელების დროს **მუდმივად უზრუნველყოს** ნედლეულის გამდიდრების პროცესში წარმოქმნილი შლამების და ე.წ „კუდების“ განთავსება გზშ ანგარიშის შესაბამისად;

1.3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი“-ს და „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“-ს შემუშავება და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო) შესათანხმებლად წარდგენა. შემდგომ, **საქმიანობის განხორციელება მუდმივად** უზრუნველყოს შეთანხმებული ზდჩ და ზდგ ნორმების პროექტის შესაბამისად.

ამასთან, შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობის - ჰორიზონტალური სალექარის, პარამეტრები არ შეესაბამება გზშ ანგარიშით გათვალისწინებული სალექარის პარამეტრებს. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლას ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „არაგვი“ ვალდებულია ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში**, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების გავლის და **სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს.**